პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა
14
სექტემბერი
№ 212
(17855)
ფასი 2 კაპ.

სახელი და დიდება მათ, ვინც ხუთწლედი შეასრულა!

წარმატებას გილოცავთ, მშენებლებო!

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „თბილისკალაქმშენის“ გაერთიანების № 14 ტრესტის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად გილოცავთ ქალაქ თბილისის მშენებელთა დიდ შრომითს კოლექტივს შესანიშნავ გამარჯვებას — საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

თქვენი ტრესტის კოლექტივმა კვარტალური და წლიური საგეგმო დავალებების „უთუო“ და რიტმული შესრულებისათვის ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ხუთწლედის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადასცა 981 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები თბილისელთა 30.000 ოჯახისათვის, რომელთაგან ბევრი ჩაბარებულია „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით. ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს, რომ ტრესტმა ზედიზედ მეცამეტედ გაიმარჯვა სრულიად საკავშირო დარგობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო 1979 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე.

მატინგზე გამოსულმა № 2 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. დეგტიარმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადება მისი კოლექტივი სკკპ XXVI ყრილობისათვის, რა შრომითის ნობათებს უმზადებს ქვეყნის კომუნისტთა ფორუმს.

მიტინგზე წაიკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა სამინისტროთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება „თბილისკალაქმშენის“ გაერთიანების № 14 ტრესტის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისადმი.

საზეიმოდ გაისმის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ცენტრალურ მოედანზე აღმართულ აბანზე გამარჯვებულთა პატივსაცემად აფრიალდა საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა.

მიტინგს დაესწრო საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი. (საქინფორმი).

სურათებზე: დროშის აღმართვისადმი მიძღვნილი ზეიმი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ვ. გენგიურის ფოტო.

გამარჯვებულთა პატივსაცემად

საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის აღმართვა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე „თბილისკალაქმშენის“ გაერთიანების № 14 სამშენებლო ტრესტის კოლექტივის პატივსაცემად

...მათ ზეიმს თვალს ადევნებდა რესპუბლიკის დედაქალაქი. თვალს ადევნებდა ასობით თბილისელიც, რომლებიც მათ აშენებულ ბინებში ცხოვრობენ. და ეს პატივი სამართლიანად დაიმსახურეს მათ — სტქტემბრის დამდეგისათვის შეასრულეს საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ხუთი წლის გეგმა. სწორედ მათ პატივსაცემად აღიმართა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სახელმწიფო დროშა.

არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე ტრესტმა საექსპლოატაციოდ გადასცა 4 მილიონ 200 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი. აქედან ერთი მეოთხედი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში....

წარმატება მიღწეულია შესანიშნავი ადამიანების წყალობით, რომლებმაც აირჩიეს მშენებლის, შემოქმედის პროფესია, აღნიშნა საზეიმო მატინგზე გამოსულისას ტრესტის მმართველმა გ. კვიჭიძემ. ახლა ტრესტის 39-ვე ბრიგადა ირდღემავალი წითელი დროშით და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე. სახეხარულია, რომ ტრესტის 39-ვე სამშენებლო ბრიგადა, რომლებიც სამეურნეო მექანიზმის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობს, ამჟამად ბრიგადული იჯარის პრინციპით შრომობს.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ტრესტის კოლექტივი, რომელიც დადგა შრომითს ვახტზე სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, კიდევ უფრო ფართოდ გაშლის სოციალისტურ შეჯიბრებას და გაანადგურებს ნაკისრ დამატებით სოციალისტურ ვალდებულებებს — ხუთწლედის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით შეასრულებს 80 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს და საექსპლოატაციოდ გადასცემს 90 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავს ტრესტის დაარსების 50-ე წლისთავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

რთველი—80

მარნეები ბადაგით ივსება

ყურძნის დამზადების 1980 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულების მიმდინარეობა (ტონობით).

მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის“ 13 სექტემბრის ცნობა:

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	შესრულება
გურჯაანის	150.000	25.268
თელავის	95.000	7.473
ყვარლის	80.000	18.219
სიღნაღის	65.000	18.169
ახმეტის	60.000	—
წითელწყაროს	50.000	15.558
საგარეჯოს	40.000	—
ლაგოდეხის	20.000	260
მარნეულის	27.300	3.009
ბოლნისის	15.500	1.446
გარდაბნის	12.000	426

კახეთის რაიონებში რთვლის დაწყებიდან მოკრეფილია 74.947 ტონა ყურძენი. ერთ დღეს — 12 სექტემბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 15.369 ტონა, წინა დღესთან შედარებით 1.564 ტონით მეტი.

რესპუბლიკაში სულ მოკრეფილია 79.828 ტონა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 19.129 ტონით მეტი.

სექტემბერში, ღრუბლიანობის მიუხედავად, რესპუბლიკის დედაქალაქის მრავალი ქუჩა-მოედანი დამშვენდა საშემოდგომო ბაზრობებით, სადაც თბილისელებს შეუძლიათ იყიდონ ქართული ბარაქიანი შემოდგომის ნაყოფი, დილადრიან გამოემართნენ ქალაქისაკენ სატვირთო ავტომანქანათა კოლონები. გურჯაანელებმა ჩამოიტანეს ყურძენი, ხილი, ხახვი, გარდაბნელებმა და მარნეულელებმა—კარტოფილი, კომბოსტო, მწვანილი, პამიდორი, ქარელელებმა და ხაშურელებმა — ჟურკოვანი და თესლოვანი ხილი, სოფლის მეურნეობის პროდუქციით დატვირთული ათობით მანქანა გამოზაფხულს აგრეთვე ბოლნისის, თეთრი წყაროს, კასპის, მცხეთის რაიონებმა.

თბილისს ყველა რაიონში წინასწარვე გამოიყო ადგილები ბაზრობისათვის. ათობით ავტოსავიზებული დახლიდან, პირდაპირ ავტომანქანებიდან „თბილხლობოსტანდავჭრობის“ სისტემის მუშაკები ყიდდნენ ყურძენს, ნიორს, პამიდორს, ხახვს, კარტოფილს.

— საშემოდგომო ბაზრობები, რომლებიც ბოლო წლებში რიგიულარულად იწყობა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ინიციატივით, — ქალაქის კარგი ტრადიცია გახდა — ამბობს თბილისის ენერგოსისტემის მუშაკი ვ. მაჭარაშვილი. — ასეთ დღეებში განსაკუთრებით გრძნობ მშობლიური მიწის ბარაქას, აფასებ მიწამთმოქმედთა გარჯას, რომლებმაც ასეთი ხვავრიელი მოსავალი მოიწიეს.

ბაზრობის დღეებში თბილისში გასაღდება სამი ათას ტონამდე სოფლის მეურნეობის პროდუქცია პრინციპით — „მინდორი — დახლი“. ეს ათჯერ მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. ვაჭრობის მუშაკები კარგად მოემზადნენ ბაზრობის ჩასატარებლად — ვაჭრობის ფორნტი ფართოა, რიგები მოკლე, სულ რაღაც რამდენიმე წუთში შეიძლება საჭირო პროდუქტების შეძენა.

[illegible] — ამბობს [illegible] — ძალიან მოსახერხებელია [illegible] ძირითადი მარშრუტების, მეტროპოლიტენის სადგურების მახლობლად. ხილისა და ბოსტნეულის ხარისხი ჩინებულია, მომსახურება — სწრაფი და კეთილმოსურნე. ასეთი ბაზრობების დროს ბაზარში არ დადგიარ, ყოველივე საჭიროს აქვე, და კაცმა რომ თქვას, უფრო იაფადაც ვიძენ. ეს კი მნიშვნელოვნად ზოგავს ოჯახის ბიუჯეტს.

შემოდგომის ნობათებით დატვირთული სულ ახალ ახალი ავტომობილები ჩამოდიან ბაზრობაზე. კიდევ ერთი ინტერვიუ — ბოლნისის რაიონის მცხოვრებ კოლმეურნე ვ. ბაირამოვთან.

— ამ ბაზრობაზე ისე ჩამოვდივართ, თითქოს ქალაქელებს მოსავლის მოსაყვანად და ასაღებად გაწეული მუშაობის ანგარიშს ვაბარებდეთ. ეს პასუხსაგები გამოცდაა, რადგან ჩვენი პროდუქციის ავ-კარგს უმეალოდ მომხმარებლები ახასიათებენ. ამიტომ ძალიან გვიხარია, რომ თბილისელები კმაყოფილი არიან ჩვენი კარტოფილის ხარისხით.

შაბათს ბაზრობათა მუშაობის ორგანიზაციას გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. მასთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი. მათ გამოიკითხეს, თუ როგორ მიმდინარეობს გაჯარობა, ესაუბრნენ მყიდველებსა და გამყიდველებს. (საქინფორმი).

ავტომატიზებული სისტემის სტატისტიკა

თელავი. დღეღამის განმავლობაში შეუფერხებლად მუშაობს მართვის ავტომატიზებული სისტემა „რთველი—80“-ის სარაიონთაშორისო შტაბი, რომელიც პარტიის თელავის რაიკომის შენობაშია მოთავსებული. დროის ყველა მონაკვეთში აქ შეიძლება მიიღოთ ზუსტი ინფორმაცია კახეთის რეგიონის ამა თუ იმ რაიონში რთვლის მიმდინარეობის შესახებ.

მაგალითად, 10 სექტემბერს გურჯაანის რაიონის საზოგადოებრივ ზვრებში ყურძნის კრეფაზე დასაქმებული იყო 6.210 კაცი და მოიკრიფა 4.443 ტონა ყურძენი, თელავის რაიონში 3.342 კაცი მუშაობდა ამ დღეს და მოიკრიფა 1.625 ტონა ყურძენი, ყვარლის რაიონში 5.333 კაცმა 1.940 ტონა ყურძენი მოკრიფა.

კახელი მევენახეთა სადღეისო ამოცანა — „რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში დამთავრდეს რთველი“ — წარმატებით სრულდება. რთველს შემოღგომის ხანმოკლე წვიმებიც ვერ აფერხებს. მიუხედავად იმისა, რომ 8 სექტემბერს მთელი დღის განმავლობაში წვიმდა, სახელმწიფო მარნებში ყურძნის მიღება არ შეწყვეტილა. ამ დღეს 3 ათას ტონამდე ყურძენი მოიკრიფა და გადამუშავდა. ასეა, დიდმა რთველმა დიდი სიხარული იცის, სიხარული კი იმ კარგი გუნება-განწყობის საფუძველია, რომლითაც მევენახეები ყოველდღიურად დიდ წარმატებას აღწევენ, რომ რთველი დროზე დამთავრონ და მეათე ხუთწლედის ბოლო წლის ღვინი მოსავალი უკლებლივ დაამბინაონ მარნებში.

დ. გეგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ორბიტის ახალი ამბები

ზრენის მართვის ცენტრი. 12 სექტემბერი. (საკადესი). გრძელდება ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინის კოსმოსური ვახტი.

ბოლო ორ დღეს ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟის სამუშაო დროის დიდი ნაწილი დაეთმო სადგურის მომსახურებას, მის ბორტზე პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარებას, სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების სახარჯო მარაგის შეფასებას.

დღეს კოსმონავტები ასრულებენ თერმორეგულირების სისტემის ვენტილატორების გამოცვლასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, რომლებშიც გამოიმუშავეს თავისი რესურსები, აკვირდებიან და ფოტოსურათებს უღებენ სპეციალისტების მიერ გამოყოფილ ხმელეთსა და მსოფლიო აკვატორიას.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამის შესაბამისად დამთავრდა მორიგი დნობა ტექნოლოგიურ დანადგარზე „შენადნობი“, ხოლო ელექტროსახურებელ ღუმელ „კრისტალში“ გრძელდება 9 სექტემბერს დაწყებული ექსპერიმენტი — არსენიდ გალიუმის ნახევარგამტარი მასალის მონოკრისტალის გაზრდა.

კოსმონავტების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის პროგნოზირების ყოველმხრივი გაანალიზების მიზნით დღის განმავლობაში მოეწყობა ეკიპაჟის ორივე წევრის ელექტროკარდიოგრამის მაგნიტური ჩაწერა მათ მიერ ველოერგომეტრზე ფიზიკური ვარჯიშის შესრულების დროს.

ხვალისათვის დაგეგმილია სადგურის რადიოტექნიკური სისტემების შემოწმების სამუშაოები, შხაპი, კავშირგაბმულობის რადიოსეანსები, რომლის დროსაც ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი ოჯახის წევრებს შეხვდებიან.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაკვეთებით, „სალუტ-6“ — „სოიუზ-37“ ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე

ყოველწლიურად სექტემბრის მეორე კვირა დღეს საშობლო პატივს მიაგებს თავის სახელოვან შვილებს — ტანკისტ მეომრებს, მრისხანე საბრძოლო მანქანების კონსტრუქტორებსა და ტანყოფშენებლებს — ყველას, ვინც დაუღალავი შრომით განამტკიცებს ჩვენი სახმელეთო ჯარების მთავარი დამკვრელი და მანევრული ძალის ძლიერებას. ტანკისტის დღე წლეულს აღინიშნება დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით.

საბჭოთა სატანკო ჯარების ჩასახვისა და განვითარების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი ლენინის სახელთან. სწორედ რევოლუციის ბელადის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ტანკშენებლობას. საბჭოთა სატანკო ჯარების ისტორიაში თვალსაჩინო მოვლენა იყო 1939-1940 წლებში ტ-34 და კვ ტიპის ტანკების შექმნა.

საბჭოთა სატანკო ჯარების ყველაზე მრისხანე გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი, რონელიც სამშობლოს თავს მოახვია გერმანიის ფაშიზმმა. ამ ომის დროს არ ყოფილა რამდენადმე დიდი ბრძოლა, რომელშიც სატანკო ჯარებს არ მიეღოს მონაწილეობა და თავისი წვლილი არ შეეტანოს წარმატების მოპოვებაში. საბჭოთა ჯარების სატანკო დარტყმების გამანადგურებელი ძალა ნიადაგ იზრდებოდა ომის მანძილზე. თუ მოსკოვის მისადგომებთან კონტრშეტევაში მონაწილეობდა 774 ტანკი და სტალინგრადთან 1468, ბელორუსიის ოპერაციაში ძათი რიცხვი უკვე ხუთი ათასს აღემატებოდა, ბერლინისათვის ბრძოლაში კი ექვსი ათასს.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის 250 ათასი საბჭოთა ტანკისტი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 1142 მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

ამჟამად სატანკო ჯარების როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის, სოციალისტური ეკონომიკის, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევების შედეგად მათს განვითარებაში მნიშვნელოვანი თვისებრივი და რაოდენობრივი ნახტომი მოხდა. სატანკო ჯარები შეიარაღებულია მაღალხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით.

დღეს სატანკო ჯარებში ნასახელობენ პოლიტიკურად განათლებული, ყოველმხრივ მომზადებული, ფართო თვალსაწიერისა და მაღალი პროფესიული მომზადების მქონე სამშობლოს დამცველები, ტანკისტთა ახალგაზრდა თაობა. მამებისა და უფროსი ძმების სახელოვანი ტრადიციებიანი ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი ო. ა. ლოსიკი,

საბჭოთა კავშირის გმირი.

ალისტური ეკონომიკის, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევების შედეგად მათს განვითარებაში მნიშვნელოვანი თვისებრივი და რაოდენობრივი ნახტომი მოხდა. სატანკო ჯარები შეიარაღებულია მაღალხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით.

დღეს სატანკო ჯარებში ნასახელობენ პოლიტიკურად განათლებული, ყოველმხრივ მომზადებული, ფართო თვალსაწიერისა და მაღალი პროფესიული მომზადების მქონე სამშობლოს დამცველები, ტანკისტთა ახალგაზრდა თაობა. მამებისა და უფროსი ძმების სახელოვანი ტრადიციებიანი ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი ო. ა. ლოსიკი,

საბჭოთა კავშირის გმირი.

14 სექტემბერი ტანკისტის დღეა



სურათზე: პარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს სატანკო ეკიპაჟის მეთაური, მაღალი კლასის სპეციალისტი, კომკავშირელი, სერჟანტი ე. კენკაძე.

ვ. აბულაძისა და ვ. ლეზინის ფოტო.

წითელწყაროელთა ზვრებში

რეპორტაჟი

ვალდებულება იკისრეს პირველად გამარჯვებელმა მევენახეებმა. მაგრამ შემდეგ 5.000 ტონამდე ავიდნენ. გუშინ რაიონის ხელმძღვანელობამ გამარჯვების კოლმეურნეობიდან სასიხარულო ცნობა მიიღო. ხუთწლიანი გეგმით უნდა მოეკრიფათ 10.734 ტონა, მოკრეფილია კი 10.917 ტონა ყურძენი.

ჯაფარიძე. ეს კოლმეურნეობა ცნობილია არა მარტო წითელწყაროში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. კოლმეურნეობას 30 წელზე მეტია სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი ნიკო ყოჩიაშვილი.

ჯაფარიძელებს რა არ მოჰყავთ. ყველა დარგი რენტაბელურია. წლევანდელმა წელმა მოლოდინს გადაჭარბა. უამინდობის მიუხედავად ყურძნის უხვი მოსავალი მოიწიეს. დასახმარებლად მუშამოსამსახურეებიც მოსულან. კოლმეურნეები მ. ნატროშვილი, ჟ. ლეკაშვილი, ნ. ჭამიაშვილი, ნ. ვაწაძე, ც. იაკობიშვილი, ვ. ზურაშვილი, მ. სეფიაშვილი, თ. ღეკაშვილი, წიკლაური დღეში 800-800 კილოგრამ ყურძენს კრეფენ. ყურძნის კრეფა-დაბინავებაში კოლმეურნეებს გვერდში უდგანან ჯაფარიძის № 72 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები და მასწავლებლები. პედაგოგები ო. სისაური, გ. ჩიტაშვილი, ვ. ნარინდაშვილი, მოსწავლეები ბ. გელაშვილი, ზ. ტუხაშვილი, თ. ბადოშვილი, რ. ლობჟანიძე და სხვები ყურძნის კრეფაში კოლმეურნეებს არ ჩამოუვარდებიან.

ჯაფარიძელებისაგან წითელწყაროს ღვინის ქარხანა ყოველდღე რამდენიმე ათეულ ტონა მაღალხარისხოვან ყურძენს იღებს. ყურძნის გადაზიდვას არ აყოვნებენ დასახმარებლად ჩამოსული გარდაბნის რაიონის ლილოს ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლები კ. დავითაშვილი, წითელწყაროს ავტოსატრანსპორტო კანტორიდან ვ. იაკობიშვილი, შ. ყოჩიაშვილი და სხვები. 30 ავტომანქანით ყოველდღე შეუფერხებლად გაავლო წლევანდელი მოსავლის ყურძენი. ჯაფარიძელები წელს სამშობლოს 3.800 ტონაზე მეტ ყურძენს მიჰყიდიან.

ყურძნის კრეფა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მილარზეც. ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, ოზაანის კოლმეურნეობებში რთველი გაჩაღდა. წითელწყაროს ლენინის სახელობის ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, საბათლოს და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში მეტად დაშაქრული ყურძენი იკრიფება. გამთენიიდან გვიან საღამომდე მუშაობენ მევენახეები, ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ მოკლე დროში უდანაკარგოდ დაამთავრონ ყურძნის კრეფა, დედასამშობლოს მისცენ 50.000 ტონა ყურძენი. ამასთან რესპუბლიკაში რთველს ყველაზე ადრე წითელწყაროელები დაამთავრებენ.

— ახლა მთავარია ყურძნის რეკორდული მოსავალი დროულად მოიკრიფოს და დაბინავდეს, უფრო ამაღლდეს ქართული ღვინის ხარისხი, კვლავ გაისმოდეს სხვა რაიონებთან ერთად ჩვენი რაიონის მევენახეთა ზვარ-მარნების სადიდებელი სიტყვები, — გვითხრა საუბარში საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ჟ. ყარაულაშვილმა, — ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას პირობა მივეცით, რომ „რთველი-80“-ს შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ რესპუბლიკაში პირველი ნი დავამთავრებთ, სახელმწიფოს მივეყიდით 50 ათას ტონა ხარისხოვან ყურძენს გეგმით გათვალისწინებული 34000 ტონის ნაცვლად.

სწორედ პირობის შესასრულებლად ზოგიერთ შეფერხებაზე იყო მსჯელობა 11 სექტემბერს პარტიის რაიკომში, თათბირზე, რომელსაც მხოლოდ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და მიმაგრებული ამხანაგები დასწრნენ. თათბირის დაწყებამდე წითელწყაროელთა ზვრები რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად დაათვალიერა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამბ. ნ. ჭითანავამ. სხდომაზე გადაწყდა, მეორე დღესვე აღმოეფხვრათ შემაფერხებელი მიზეზები. მაშინვე მთელი რაიონის მუშა-მოსამსახურეები, მოხუცები, ახალგაზრდები დაირაზმნენ პირობის შესასრულებლად.

— ღვინის ქარხნებში დღეში 2.000 ტონამდე ყურძნის მიღებაგადამუშავება არც ისე იოლი საქმეა, — გვითხრა წითელწყაროს ღვინის ქარხნის დირექტორმა ნ. ბაღაშვილმა, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელების დახმარებით ამ დიდი სამუშაოს შესასრულებლად ყველაფერს ვაკეთებთ.

ქარხანაში ზშირად ნახავთ საქართველოს სსრ მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის“ მმართველს გ. ლოლაძეს. ის ადგილზევე უწევს დახმარებას ქარხნის კოლექტივს. ერთი სიტყვით, საითაც გაიხედავთ, ყველგან ყურძნით დატვირთული ავტომანქანები მოძრაობენ. მოტორების მძლავრ გუგუნს მკრეფავთა ომახიანი შეძახილები ერთვის. ეს წლევანდელი წლის დიდი მოსავლის სიმღერაა.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐᲕᲐᲓ

საქართველოს მშრომელებმა მთელ ქვეყანასთან ერთად საზეიმოდ აღნიშნეს ტანკისტის დღე — სახალხო დღესასწაული, რომელიც მიეძღვნა უშიშარ მებრძოლ ტანკისტებს, საბრძოლო ტექნიკის შემქმნელებს, ყველა იმათ, ვინც საბჭოთა არმიის ჯარების ერთ-ერთი ძირითადი გვარეობის საბრძოლო დიდების თანამონაწილეა. ტანკისტის დღეს მიეძღვნა თბილისის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ენდელაძემ.

კრებაზე მოხსენება გააკეთა გენერალ-მაიორმა პ. მამჩურმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა საბჭოთა სატანკო ჯარების მიერ განვლილ სახელოვან გმირულ გზაზე.

უკანასკნელ წლებში სატანკო ჯარებმა ქვეყნის მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად გაკვეთეს ახალი თვისებრივი ნახტომი. ისინი ყოველთვის მზად არიან შეასრულონ თავიანთი პატრიოტული მოვალეობა სოციალიზმის მონამპოვართა დასაცავად.

ტანკისტთა დღის აღსანიშნავად საზეიმო კრებაზე შეკრებილ საბჭოთა კავშირის ჰიმნი და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი. (საქინფორმი).

ქარხანა დახმარებას საჭიროებს

ჟუთანისის ლითოფონის ქარხანას არსებობის 40 წელი შეუსრულდა. განვლილ პერიოდში ქარხანამ ქვეყანას დაუმზადა ათიათასობით ტონა ლითოფონი. ლაქმინანქარი, შაბიამანი, მიკრობარიტი, შრალი თეთრა, სრეესილი საღებავები, რომლებსაც თავთოდ იყენებენ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

ნაყოფიერად შრომობს ქარხნის კოლექტივი მეათე ხუთწლედში. ხუთწლედის პირველ ოთხ წელიწადში მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა მელითოფონეებმა 100,1 პროცენტით შესრულეს და წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20,3 პროცენტით გაზარდეს წარმოების მოცულობა. შრომის ნაყოფიერება 33,5 პროცენტით გადიდდა. სისტემატურად უმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

მელითოფონეები ყოველწლიურად ზრდიან სახელმწიფო ხარისხის ნიშნიან ნაწარმის გამოშვებას.

აღნიშნული პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში მეათე ხუთწლედის დამდეგს 8,3 პროცენტს შეადგენდა, აწყადად მან 18 პროცენტს გადააჭარბა.

მიმდინარე ხუთწლედში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მ ე ლ ი თ ო ფ ო ნ ე ბ ი ს 760 ათასი მანეთი დაზოგეს. დიახ, ქარხნის კოლექტივის ცხოვრებაში შეიმჩნევა ეკონომიკური ძვრები, მაგრამ მათ მიმართ პრეტენზიებიც დიდია. მაგალითად, ხუთწლედის მეოთხე წელს და წლეულსაც ქარხანამ მიიღო გაზრდილი საგეგმო დავალებანი. როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით გეგმა არ სრულდება და ხდება კორექტირება მისი შემცირების მიზნით. უპირველესად გეგმის შეუსრულებლობა ლაქისა და ფლოტაციური ბარიტის მწვავე ნაკლებობის, მომარაგების დარგში არსებული ხარვეზების ბრალია. ეგრეთ წოდებული „სუბიექტური“ მიზეზებიდან აღსანიშნავია, რომ ხედლეულის ნაკლებობისა და გაზის გამორთვის გამო დაშვებულ მოცდენებთან ერთად არის სამუშაო დროის დანაკარგები, მატულობს უმიზეზოდ სამუშაოს გაცდენის რიცხი. მაგალითად, თუ 1977 წელს ქარხანაში უმიზეზოდ მოცდა 101 კაცდღე, 1978 წელს მოცდენებმა შეადგინა 207 კაცდღე, ხოლო 1979 წელს — 259 კაცდღე.

ქარხნის კოლექტივის წინაშე არის სხვა პრობლემებიც, რომელთა დადებითად გადაწყვეტა მნიშვნელოვნად აამაღლებს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი ქიმიური სამრეწველო საწარმოს გამართულ მუშაობას. ეს შეეხება ლითოფონის საამქროს რეკონსტრუქცია-გაფართოებას, ბარიუმის საამქროში მოძველებული ტექნიკის შეცვლას, იმას, რომ რესპუბლიკის არც ერთ პროფტექნიკურ სასწავლებელში არ მზადდება მელითოფონეთა კადრები.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„ეს ყველას გვეხება“

ამ სათაურით 1980 წლის 24 ივლისს გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა წერილი, რომელიც რესპუბლიკაში მეორეული შავი ლითონების დამზადებას ეხება. წერილში გაკრიტიკებულია ის სამინისტროები, პარტიის რაიონული კომიტეტები, რაიაღმასკომები, საწარმოო გაერთიანებები და საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფოსთვის ჯართის ჩაბარების გეგმებს. ჩვენმა რედაქციამ მიიღო ზოგიერთი ამ რაიონისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა პასუხი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის, სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსი თ. ჩერნელაშვილი გვწერს, რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტმა მხედველობაში არ მიიღო ჩვენ მიერ წარდგენილი შავი ლითონების ჯართის დამზადების შესაძლებლობის დასაბუთებული ანგარიში და არარეალური გეგმა დაგვიმტკიცა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, სამინისტრო ყოველ ღონეს ხმარობს მიმდინარე წლის 9 თვის დავალების შესასრულებლად.

რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ო. ჭიშმარეიშვილი გვატყობინებს, რომ „კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ სამინისტრომ კონკრეტული ღონისძიებები განახორციელა ლითონის დამზადებაში ჩამორჩენის დასაძლევად. შესრულდა ივლისის გეგმა და მიღებულია ზომები წლიური დავალების უთუოდ შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველ მდივანს ა. შარაბიძეს რაიონის ორგანიზაციების მიერ ჯართის შეგროვებასთან დაკავშირებული კრიტიკა სამართლიანად მიიჩნია. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა საფუძვლიანად შეისწავლეს ეს საკითხი და კონკრეტული ღონისძიებები დასახეს მეორეული ლითონების დამზადებაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ლითონის დამზადების საკითხს ახლა ყოველდღიური კონტროლი დაუწესდა თერჯოლასა და ონში. ეს მოსწერეს რედაქციას პარტიის თერჯოლის რაიკომის მდივანმა ნ. ქოჩიაშვილმა, პარტიის ონის რაიკომის მდივანმა კ. ბაკრაძემ და ონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. მეტრეველმა.

დამრიგებელს შრომა დაუფასდა

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქისა და მისი ზონის საწარმოებში ფართოდ გავრცელდა სადამრიგებლო მოძრაობა, ამ კეთილშობილურ საქმეს ხელი მოჰკიდეს შრომაში სახელგანთქმულმა, სპეტაკმა ადამიანებმა. ყველაზე მეტად მეშახტე ნოვატორებმა გამოიჩინეს თავი. მათი ყოფილი შეგირდები დღეს დამკვრელურად შრომობენ ქალაქის სამთო საწარმოებში და დიდ წარმატებასაც აღწევენ.

ამ დღეებში ტყიბულში სასიხარულო ცნობა მოვიდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ყველაზე გამოჩენილ მეშახტე დამრიგებელს, ოჯახოვიჩის სახელობის შახტის წარჩინებულ ნოვატორს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ევგენი ბიქტორის ძე სვანიძეს „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის“ საპატიო წოდება მიენიჭა. ეს არის იმ დიდი მუშაობის დაფასება და აღიარება, რომელსაც ე. სვანიძე ეწევა მშობლიურ შახტსა და ქალაქის პროფტექნიკურ სასწავლებელში, სადაც დიდი ხნის წინათ თვითონ დამრიგებელი სწავლობდა.

საძმეო გამოპაჩინა

მცხეთის რაიონის ნიჩბისის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საპატიო სიგელი დაიმსახურეს.

მეურნეობის ფერმის მუშაკებმა წლეულს, 7 თვის გეგმა 46 პროცენტის გადამეტებით შეასრულეს და სახელმწიფოს 90 ცენტნერით მეტი რძე მიჰყიდეს, ასევე საგეგმოზე მეტი დაამზადეს ხორციც. გეგმა რეალიზებულია 192 პროცენტით. მეურნეობაში სანაქებოდ ირჯებიან მწველავები ე. ოსეფაშვილი და ე. მერებაშვილი, ისინი დღეში 90-100 კილოგრამ რძეს წველიან.

სურათზე: მოწინავე მწველავები ე. ოსეფაშვილი და ე. მერებაშვილი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

სამთავისის კომუნა

„კომუნისტი“ 60

რეგიონალური ბიბლიოთეკა

რეგორც მკითხველს უკვე მოეხსენება, გაზეთ „კომუნისტს“ დაარსებიდან 60 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღის აღნიშვნის წინ მის ძველ, დროით გაყვითლებულ ფურცლებს რომ ვათვალიერებთ, ბევრ საინტერესო და სამახსოვრო ამბებს ვეცნობით. ავიღოთ თუნდაც საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორია. საქართველოში, ვიდრე კოლმეურნეობები შეიქმნებოდა, ფართო აღიარება მოიპოვა სასოფლო-სამეურნეო კომუნებმა. „კომუნისტის“ 1933 წლის 11 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა დ. გურიანთელის წერილი „საქართველოს პირველი კოლმეურნეობები“, რომელშიც ავტორი სამთავისის კომუნას პირველ მერცხალს უწოდებს.

დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ კომკავშირისა და პარტიის ვეტერანის ნინო ხატისკაცის წერილს კასპის რაიონის სამთავისის კომუნის შესახებ.

მიუხედავად განვლილ წელთა სიმრავლისა, გუშინდელივით თვალწინ მესახება ნახევარი საუკუნის წინანდელი, მაშინ პატარა, მაგრამ მეტად ლამაზი სოფელი სამთავისი, სადაც პირველად დაირწა საკოლმეურნეო მოძრაობის აკვანი.

ამ წერილში მინდა მკითხველს ვუამბო, თუ როგორ იკაფებოდა პირველი ეკლიანი გზა (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში) და რა სიძნელეებით ეყრებოდა საფუძველი ხალხის ნათელ მომავალს. მინდა ვუამბო იმ მამაცი და მებრძოლი კომუნარების შესახებ, რომლებიც საკოლმეურნეო ცხოვრების პირველი პიონერები იყვნენ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები... ქვეყანა დანგრეულია იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებისაგან. ყველგან გაჭირვებაა. ამ დროს იყო სწორედ, რომ ლენინი მოითხოვდა მსხვილი მეურნეობების შექმნას. პარტიის მოწოდებას პირველნი გამოეხმაურნენ სამთავისელი ბოლშევიკები. ამხანაგობაში გაერთიანდნენ უღარიბესი გლეხები. ისინი სამ წელიწად-ნახევარს თავდაუზოგავად შრომობდნენ მეურნეობაში. მაგრამ საქმე წინ ვერ მიდიოდა, ღარიბი კაცი მიწურიდან მაინც ვერ გამოდიოდა. მეურნეობა ვერ ეთანადებოდა იაფი ტემპით, როგორიც მის წევრებს და განსაკუთრებით მის თავმჯდომარეს გ. უზნაძეს სურდათ.

ერთ დღეს სამთავისში ჩამოვიდა გორის სამაზრო კომიტეტის მდივანი არჩილ გიორგაძე. გიორგი უზნაძემ იგი სახლში მიიწვია. შემდეგში უზნაძე იხსენებდა: „მაშინ მე ჩემს წვრილშვილს სახლს ვუშენებდი. ვინაიდან ამ. გიორგაძის სახლში შეპატიჟება არ შემეძლო, სტუმარს ჩვენებიანთ ბაღში, მწვანეზე გავუშალე სუფრა. გიორგაძეს ჯერ ლუმა არ აეღო, შეხედა ჩემს სახლს და მითხრა: გიორგი, შენ კი იშენებ ახალ სახლს, მაგრამ იმ ღარიბებს რაღას უპირებ, თუ ფიქრობ იმათხელ. მე ვუპასუხე — მოკვდეს გიორგი, თუ იმათაც მალე. არ უშველოსო. იმ დღიდან მოსვენება დაკარგე ღარიბებზე ფიქრით, ჩემი სახლისთვის აღარც მიმიხედია“

გიორგი უზნაძე იმავე საღამოს ჩავიდა სამა და ვინო მცხვეთაძეებთან. უამბო გიორგაძის სტუმრობის ამბავი და უთხრა მისი სიტყვებიც: „ღარიბებს რაღას უპირებ, თუ ფიქრობ იმათზეო“. მეორე დღესვე მოიწვიეს პარტიული კრება, ბევრი იმსჯელეს, ითათბირეს და ბოლოს გადაწყვიტეს ეხელმძღვანელათ პარტიის VIII ყრილობის დადგენილების იმ პუნქტით, სადაც ნათქვამი იყო: „მხარის დაპერა სასოფლო-სამეურნეო კომუნებისათვის, როგორც მიწათმოქმედების ნამდვილად ნებაყოფლობითი კავშირისათვის, მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის საწარმოებლად“... „მე ჩავეჭიდე ამ საკითხს, — იხსენებდა გ. უზნაძე: კომუნა, ეი სად არის ხსნა ღარიბებისა. ჩვენი აგიტატორი საშა მცხვეთაძე (სოფლის მასწავლებელი) შიშობდა, ვაითუ ვერ გაუძღვეთო.

მე ვუთხარი, რაკი ლენინი მოითხოვდა კომუნებისათვის მხარის დაჭერას, ჩვენც დავიჭერენ მხარს ზემდგომი ორგანოები-მეთქი“. ბევრი მსჯელობის შემდეგ მეთანხმდნენ გორში ჩასულიყვნენ სამაზრო კომიტეტის მდივან არჩილ გიორგაძესთან რჩევა-დარიგების მისაღებად.

არჩილ გიორგაძემ გულთბილად მიიღო სოფლის გულშემატკივარი ადამიანები, მოესმინა, მოუწონა აზრი, მაცა რჩევა-დარიგება: „იცოდეთ, გლეხობასთან მიდგომას სიფრთხილე სჭირდება, არავითარი ძალადატანება, არავითარი იძულება. საჭიროა დარწმუნება, დაკარგა“. გორიდან აღფრთოვანებული დაბრუნდნენ სოფლის მეთაურები.

1924 წლის 27 აგვისტოს მოიწვიეს სოფლის საერთო კრება, რომელსაც ეესწრებოდა 106 კაცი. კომუნის დაარსების შესახებ მოხსენება კაკაეთა გიორგი უზნაძემ. კრებაზე დიდი კამათი გაიმართა. ძნელი იყო ყველა გლეხის დაყოლიება, საუკუნეებით ჩაფერფლილი და განმტკიცებული კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ასე უცბად დაძლევა და გარდაქმნა.

აბა გიორგი უზნაძისთვის იყო ადვილი ასეთი რთული ნაბიჯის გადადგმა, და თავისი მცირეწლოვანი ბავშვებისათვის საკუთარი ბუდის მოშლა. ადვ მწყემსობაში და მოჯამაგირეობაში გაზრდილი კაცი, მთელი ოცნება იყო ოჯახისათვის ჭერი დაეხურა და, როცა ამას მიაღწია, ახლა უნდა დაეწყვიტა, საზოგადო საქმისათვის მეეწირა. მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სურვილი დაეარსებინა კოლექტიური მეურნეობა და ეშველა ღარიბებისათვის, რომ ეს რთული და ძნელად გადასაჭრელი საკითხი ადვილად გადაწყვიტა. ამოდ ცდილობდა მისი მოხუცი მამა ნენ გადალობებოდა შვილის განზრახვას არ დაენგრევინებინა ახლად აგებული სახლი, მაგრამ არაფერი გაუვიდა. გიორგი ეუბნებოდა მამასაც და ამხანაგებსაც: „უნდა გავერთიანდეთ, ღარიბებს უნდა ვუშველოთ. ის რა კომუნისტია, რომ თვითონ მშვიდად და თბილად ეძინოს და მეზობელს ეკიდ ზემოდან წვიმა დასდიოდეს, თვითონ მაძღარი იყვეს და მეზობელს კი შიოდეს. ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, პარტია მოითხოვს მსხვილი მეურნეობების შექმნას, ჩვენ მხარს დაგვიჭერენ, ჩვენ გავიმარჯვებთ“... ამხნევებდა ყველას.

დიდი კამათისა და მსჯელობის შემდეგ შეთანხმდნენ კომუნის დაარსებაზე. კრების დადგენილებაში ვკითხულობთ: „ჩვენ, სამთავისში მცხოვრები კომუნისტური პარტიის წევრები და უპარტიო თანამგრძნობნი, შრომელი გლეხობა, ამა წლის 27 აგვისტოს ვდებთ კომუნისტურ და გლეხურ სინდისიან ფიცს, რომ ჩვენი სურვილით შევდიოართ კომუნაში, სადაც შეგვაქვს მთელი ჩვენი ქონება, დღეიდან ვსპობთ ჩვენს კერძო საკუთრებას, რათა ამით განვაზორციელოთ იდეა კომუნიზმისა“. ამავე კრებაზე აირჩიეს საორგანიზაციო საბჭო 7 კაცის შემადგენლობით: (გიორგი უზნაძე (თავმჯდომარე), საშა მცხვეთაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ვანო მცხვეთაძე, მიხა თეჭოშანიძე, სანდრო ერუსიტაშვილი, გულა ილურიძე და სანდრო გოგიჩაშვილი.

1924 წლის 6 ნოემბერს გორის სამაზრო აღმასკომმა კომუნა დაამტკიცა და მას მიენიჭა იურიდიული უფლება.

კომუნარებმა დაანგრიეს კერძო ბინები და იქიდან ამოღებული მასალა შეაგროვეს ახალი საერთო ბინების ასაშენებლად.

სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა უნდობლად უყურებდა ამ ახალ წამოწყებას, სოფელი გაითიშა, იყო ერთი მითქმა-მოთქმა, დიდი ბრძოლა მეზობლებში, ოჯახებში, ნათესავებში ზოგი კიცხავდა კომუნარებს, ზოგი ამართლებდა. მახსოვს ასეთი ამბების მოსმენით აღშფოთებული შემოვიდა შინ მამაჩემი და მას ხომ ჯერაც არ დავიწყებოდა, რომ მე მის ნებადაურთველად შევედი კომკავშირში, რაც დიდ უბედურებად მიაჩნდა და ახლა აგერ ნამრომ-ნაამაგარ ვენახზედაც ხელი უნდა აიღო და სხვები დაპატრონებოდნენ. აბა გეცადათ და დაგეწყოთ მისთვის ახსნა-განმარტება. რა შედეგი ექნებოდა, ჯიუტობდა, ერთისა და იმავეს იმეორებდა „ღმერთს გაუჩენია საკუთრება და ასე უნდა დარჩესო“.

ასევე ამბობდნენ სხვები, გლეხების უმრავლესობა ებღაუქებოდა ძველ ყოფას, კერძო საკუთრებას. საჭირო იყო დიდი აგიტაცია, დიდი დამაჯერებელი საუბრები, და არა მარტო იმ გლეხებთან, რომლებმაც კომუნაში შესვლაზე ხელი მოაწერეს. მაგრამ გულში კიდევ მერყეობდა, შიშობდა. საჭირო იყო იგიტაცია სამუშაო გლეხობას შორის, რომელიც შეძლებული გლეხობისაენ კულაკობისაკენ იხრებოდა. ახალ საქმეს სკეპტიკურად უყურებდა. ასეთი ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგიტაციო მუშაობას. მაგრამ სად იყვნენ აგიტატორები? ეს საქმე კომკავშირელებს უნდა ეკისრათ, თუმცა არც კომკავშირელები იყვნენ საკმისო პოლიტიკური ცოდნით აღჭურვილები. რთული იყო გლეხებთან ურთიერთობა, საუბრების ჩატარება.

კომუნარებმა 28-ოთახიანი საცხოვრებელი სახლი ააშენეს და 1925 წლის გაზაფხულზე შესახლდნენ კიდეც. ახალ ბინებში შესახლებასთან დაკავშირებით მოხდა კომუნის საზეიმო გახსნა.

„კომუნისტი“ 60

რეგიონალური ბიბლიოთეკა

სამთავისის კომუნა

მახსოვს, 1925 წლის გაზაფხული ცივა იყო. სიო დანაკარდობდა ყველგან. საზეიმოდ იყო გამწყობილი მთელი სოფელი. კომუნარების საცხოვრებელი შენობის წინ, დიდ, ფართო ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. აქ იყვნენ ახლომახლო სოფლებიდან მოსული სტუმრები, თბილისიდან ჩამოსული მწერლები, მუშათა კლასის წარმომადგენლები, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. საზეიმო მიტინგი გახსნა კომუნის თავმჯდომარემ გიორგი უზნაძემ. მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ. კომუნარებს წინსვლა და გამარჯვება უსურვა დიდ საქმეში და აღუთქვა დახმარება. კომუნარებს მიესალმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლავრენტი ქართველიშვილი. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ჭალაქიდან და სოფლებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა — გ. ჯაბაურმა, კ. ბერიკაშვილმა, გ. ჯობარჯიძემ და სხვებმა. შეკრებილი სულგანაბული უსმენდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწის ფ. მახარაძის შთამაგონებელ სიტყვებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ამაყოფილებით შეხვდნენ სამთავისელ გლეხების მისწრაფებას, კოლექტიური ცხოვრებისადმი, ყველმხრივ ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ მუშაობაში, განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ კომუნარებს სერგო ორჯონიკიძე და მარიამ ორახელაშვილი. სერგო ორჯონიკიძე რამდენიმეჯერ ესტუმრა კომუნარებს. მარიამ ორახელაშვილის ზრუნვით კომუნის ბავშვებისათვის ბაგა-ბაღი გაიხსნა.

საცხოვრებელი სახლიდან ოცი-ოდე მეტრის დაშორებით კომუნარებმა აგეს მეორე შენობა. სადაც სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი და კლუბი გაიხსნა. ამავე შენობაში მოაწყეს სამსაწოლიანი საავადმყოფო, ამბულატორია და აფთიაქი.

დიდ ყურადღებას უთმობდნენ ჯანმრთელობის დაცვას, სანიტარიულ საქმეს, წმენდა-აღზრდას, სასოფლო სამეურნეო კადრების მომზადებას და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. მექანიზატორის კურსებზე გაგზავნეს სახლო გოგიჩაშვილი — ეაკი მეტად დაკვირვებული, შრომისმოყვარე და თავისი საქმით გატაცებული. შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ტრაქტორზე მუშაობდნენ შაქრო თექთუმანიძე და ტატელა ილურიძე, კომუნაში მალე კაჩრდა ფუტკრის სკები. მეფუტკრეობის კურსებზე გაგზავნეს თამარ ილურიძე.

კომუნარებს ჰქონდათ საერთო სასადილო, სადაც იდგა ორი ვრძელი მაგიდა — ერთი — დიდებისთვის, მეორე — პატარებისთვის. საკმელი ყველასათვის ერთნაირი მზადდებოდა, სამუშაოს დაწყების, დამთავრების, სადილისა და საუზმის დროს ირეკებოდა ზარი.

კომუნაში შრომა ნაწილდებოდა იმის მიხედვით, თუ ვის რა შეეძლო. ხდებოდა შრომის მონაცვლეობაც. თუ დღეს მძიმე სამუშაოს ასრულებდა ერთი წევრი, მეორე დღეს იგი მსუბუქ სამუშაოზე იგზავნებოდა. თუ ვინმეს შეამჩნევდნენ სიზარმაცეს ან საქმისადმი თავის არიდებას, სასტიკად კიცხავდნენ. დამყარებული იყო მკაცრი დისციპლინა. ცუდი საქციელისათვის კომუნარი ქაცუს ავებდა სასამართლოს წინაშე, რომელიც მოვალეობასაც ასრულებდა კომუნის სამეო.

სამთავისის კომუნას დიდი გავლენა ჰქონდა. დიდწყო ექსკურსიებია და დელეგაციების ჩამოსვლა ქალაქებიდან და სოფლებიდან. კომუნაში შემოვლის ბოლო ერელს აცხადებდნენ სხვა ადგილში მცხოვრები გლეხები, მალე სამთავისის კომუნაში შეიკრიბნენ. ლენინგორის რაიონის სოფელ ყანჩაველიდან ტატუნაშვილები, სოფელ ბოლოდან — ჩიტრეშვილები, დუშეთის რაიონის სოფელ ძეველვადან — გიგაურები, სოფელ ობლისიდან — ილურიძეები.

1925 წლის ზაფხულში კომუნის გასაცნობად ჩამოვიდნენ შორეული შირაქიდან. შირაქელთა დელეგაციის წევრებმა საფუძვლიანად დაათვალიერეს კომუნა, გაეცნენ მისი მუშაობის ყოველ ფეროს და დიდად კმაყოფილნი დაბრუნდნენ უკან. მალე თვით კომჩონელიც ეწვია კომუნას. „ეკონომიკა“ დარჩა ოქ. იგი აღფრთოვანებული იყო კომუნის ცხოვრებით და რიცა უკან ბრუნდებოდა, გიორგი უზნაძეს უთხრა: „ჩაეალ თქვენ არა შირაქში, კომუნის ოთარეულ ბის საქმე შეუდგებიო“...

ცნობილი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, თავის ნაწარმოებში — „ახალი გლეხები“ — მოგვითხრობს, რომ 1926 წლის 25 ივნისს მოიწვიეს ზემო ქედის გლეხთა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა კობა ჩჩხეული. ფიგანი იყო ალექსანდრე კობაძე. ამ კრებაზე დაამტკიცეს ხემოქედის კომუნა.

ამ სამთავისის კომუნას ამბავი საქართველოს საზღვრებს გასცდა. მოსკოვში, კრემლშიც გაიგეს ქართლის ერთ-ერთ სოფელში კოლექტიური ცხოვრების დაწყება. 1926 წლის ივლისში სამთავისის კომუნას ეწვივნენ კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები ი. ბ. სტალინი, ა. მიქოიანი, ს. ორჯონიკიძე და მათი თანმხლები პირები. საქართველოს სტუმრებმა დაათვალიერეს კომუნის კარ-მიდამო, საცხოვრებელი სახლი, საბავშვო ბაგა-ბაღი. უყურადღებით გაეცნენ კომუნართა ცხოვრებას, ესაუბრნენ კომუნარებს, სოფლის მასწავლებლებს, საბავშვო ბაღის გამგეს ნინო მჭედლიძეს, (ამჟამად პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მეშვი) მისცეს რჩევა-დარიგება, აღფრთქვეს დახმარება ხიძილეულების დაძლევაში.

მერე, როცა საქართველოში დაიწყო ძალიანი კოლექტივიზაცია, სამთავისის კომუნა გადაიქცა კოლექტივის ფორმაზე. ყოფილ კომუნარებს აღარ გასჭირვებიათ კვლავ კოლექტიური შრომა ცხოვრებაში მდგარიყვნენ.

ნინო ხატისკაცი,
კომკავშირის და პარტიის ვეტერანი.

მშვიდობისა და აღმშენებლობის კურსით

სკკპ მორიგი, XXVI ყრილობისათვის მზადება დღეს განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელ არსს. კომუნისტები, ყველა მშრომელი ცდილობენ ღირსეულად შეეგებონ ამ უდიდეს მოვლენას. ისინი იჩენენ ახალ პატრიოტულ თაოსნობებს, ავლენენ გამოუყენებელ რეზერვებს, მომთხოვნელობით ანალიზებენ თავიანთი საქმიანობის პრობლემებს. ისინი კვლავ და კვლავ მიმართავენ ლენინური პარტიის ფუძემდებლურ მითითებებს. მისი XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ამასთან მთლიანად იწონებენ მის პოლიტიკურ კურსს — მშვიდობისა და აღმშენებლობის კურსს.

ამ კურსის შემუშავების პროცესი, პარტიის მრავალმხრივი საქმიანობა მის განსაზორციელებლად, მასების ბრძოლა კომუნისტური მშენებლობის გეგმების ხორციშესხმისათვის ღრმად და სრულად არის ასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელთა შრომებში. ამ დაკაბული მუშაობის მრავალი კუთხე გაშუქებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. პ. კირილენკოს ახალ წიგნში*. აქ უპირატესი ადგილი უჭირავს შრომებს, რომლებიც შეიქმნა იმ პერიოდში, როცა ჩვენი სამშობლო დაადგა განვითარებული სოციალიზმის ეტაპს. მათში გაანალიზებულია საბჭოთა ავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის ძირეული საკითხები, საზოგადოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

რა თქმა უნდა, წიგნის მთავარი თემა, „მთავარი გმირი“ ეკონომიკა, საბჭოთა ნიდუსტრიის განვითარებაა. საბჭოური მრეწველობის მიღწევები თვალნათლივ გვიჩვენებს სოციალისტური წყობილების ძალასა და დაუშრეტელ შემოქმედებითს შესაძლებლობებს. „სოციალიზმი, — აღნიშნავს ავტორი, — გვეკვლინება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე პროგრესულ ორგანიზაციად...“ (გვ. 65).

ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მიმავალმა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი გამარჯვება მოიპოვა: საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის გარჯა, გმირული მეცადინეობა განსახიერდა განვითარებული სოციალიზმის შექმნით, რომელსაც სამართლიანად ეწოდა მუშათა კლასის „სოფლიო-ისტორიული მონაპოვარი, კაცობრიობის სოციალური პროგრესის უმაღლესი მიღწევა. განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება განუხრელად ზრდა მიდის, და მთელი ქვეყნის მშრომელთა ერთსულოვანი მუშაობა იქცევა სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის კიდევ უფრო მაღალ სიმწიფედ. მტკიცდება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირი, სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების ძმური მეგობრობა. დღენიადაგ მდიდრდება საბჭოთა ადამიანების სულიერი ცხოვრება, მაღლდება მათი კულტურის, განათლების დონე, იღეური მრწამსი. საბჭოთა ხალხის გიგანტური აღმშენებლობითს საქმიანობას, რომელსაც კომუნისტური პარტია წარმართავს, მოაქვს შედეგები, რომლებიც ოქტომბრის შემოქმედთა, ახალი საყაარის პირველაღმომჩენთა ღირსია.

კაცობრიობის მადლიერი ხსოვნა სასოებით ინახავს იმათ სახელებს, ვინც მიდის პირველთა რიგებში, გაბედულად კვალავს მომავლის გზას. მაგრამ ისინივე აწყდებიან გაუთვალისწინებელ სიძნელეებს. მათ ელით ყოველგვარი მოულოდნელობა, მათგან მოითხოვენ, რომ მუდამ მზად იყვნენ მოქმედების, ბრძოლის, თავდადებისთვის, მათგან მოითხოვენ გამბედაობას, თავიანთი მოქმედების სწორი და მიუკერძოებელი შეფასების უნარს. ახალი წყობილება აფროდიტეს მსგავსად ზღვის ქაფისაგან, ერთბაშად თავისი სილამაზის მთელი ბრწყინვალებით როდი იშვება. ჩვენი მიღწევებიც, აღნიშნულია წიგნში, — არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ „საზოგადოებაში, სადაც არ არის არც პრობლემები, არც სიძნელეები, არც ნაკლოვანებანი... ზოგიერთი მათგანი გამოწვეულია ჩვენი საკუთარი ხარვეზებით, ზოგი კი ისახავს ობიექტურ სირთულეებს ქვეყნის განვითარებაში“ (გვ. 639).

პარტია, რეალისტურად აფასებს რა არსებულ მდგომარეობას, ცდილობს გამონახოს წარმომზმობელ პრობლემათა გადაჭრის ოპტიმალური გზები. ახლა, როცა მიმდინარეობს მუშაობა ახალი ხუთწლედის გეგმებზე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკის განვითარების საკვანძო საკითხებს.

წიგნის მასალები მოწმობს, თუ რა თანამიმდევრულობითა და გულმოდგინებით წყვეტს მრავალი წლის მანძილზე ჩვენი პარტია წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ამოცანებს. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება შრომის ნაყოფიერებას, პროდუქციის ტექნიკურ დონესა და ხარისხს, მანქანებისა და მოწყობილობის, ნედლეულისა და მასალების გამოყენებას. „საჭიროა, რომ ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტად ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე ხდებოდეს, რომ ისინი სულ უფრო სრულად განსაზღვრავდეს თითოეული საწარმოს, გაერთიანების, დარგის, მთლიანად სახალხო მეურნეობის მუშაობის შინაარსსა და შედეგებს“, — ეს სიტყვები, რომლებიც 1973 წლის 6 ნოემბერს ავტორმა წარმოთქვა დიდი ოქტომბრის 56-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე (იხ. გვ. 280), აქტუალურია დღესაც, რადგან გამოხატავს ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე დიმნიშვნელოვან პერსპექტიულ მიმართულებას.

ავტორი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების გარდა, თანამედროვე ეტაპზე არ არის ეკონომიკის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა გზა, და უპირველეს ყურადღებას უთმობს **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის** საკითხებს. ჩარხთმშენებლობის, ლითონის წარმოებისა და დაზოგვის, ენერგეტიკის, საბრწყველო მშენებლობის განვითარების და ბევრ სხვა საჭირბოროტო პრობლემაზე თავის გამოსვლებში ი. პ. კირილენკო მუდამ მიმართავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანას. ფრიად საგულისხმოა საწარმოების მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ეფექტიანი დამუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის კონკრეტული მაგალითები, რომლებიც მოყვანილია წიგნში, ღრმად და კრი

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჯუნგლებიდან

საკავშირო ერთიანი ამბების სააგენტოს ... გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატები

წერილი რედაქციას

მივხედოთ ვახუშტის წყაროს

უძველეს ნაქალაქარ დმანისის ახლოს, მდინარე მაშავერას მარცხენა ნაპირას თვალში გეცემათ ნამჯით დახურული კარვები. ნაპატიები ცხენები და ბიდონები. ეს ბიუარაღებული „წყალზე მონაცარეები", რომლებიც მზის ამოსვლიდან გვიან ღამემდე „ვესახურებიან" საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუდენტებს. ამგვარი „მომსახურება" აქ მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც 1976 წლის იანვარს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ შ. სანაძის წერილს „ვახუშტის წყაროს". შესაბამისმა ორგანოებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს. სასურველი და მიზანშეწონილი იყო დიდი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში დასახელებული სამკურნალო თვისებების მქონე წყაროს სპეციალისტებს ჯეროვნად შეესწავლათ. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. სხვაგვარად რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წყლის შენახვისა და გამოყენების შესახებ დღემდე არავითარი რეკომენდაცია არ არსებობს. ფიზიკო მეტიც, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან აქ წყლის წასაღებად. ყოველგვარი მეთოდით და განსაზღვრული რაოდენობით მიაქვთ „უკვდავების წყარო". ამის მიზეზი კი ისიც არის, რომ მახლობელი სოფლების ჯანმონაცემა მამაკაცებმა წყარო გამდიდრების საშუალებად გაიხადეს, ჯერ ერთი, მართლა აქვთია ამ წყაროს თვისებები, რომ შორიდან მოსული ხალხი არც დროს იშურებს და არც ფულს ამ წყლის წასაღებად, თუ უბრალოდ მოარული რეკლამაა? პირველ შემთხვევაში საკითხავია, რატომ არ აქცევენ შესაბამისი სამსახურები ყურადღებას წყლის მიწოდების ორგანიზებას ან წყაროზე გზის შიკვანას, რათა მისით ყველამ ისარგებლოს. მეორე შემთხვევაში, თუკი წყალი ბევრს არაფერს რგებს, რატომ არ ვიძლევით ინფორმაციას ამის შესახებ?

ახლა კი რა ხდება? აქ „წყალზე მონადირეთა" ყოველდღიური ცვლაა დაწესებული, 20-ლიტრიან ბალონში 5 მანეთის ფასადაა გიხდებათ. ნუთუ არავინ ითხოვს წყლით მოვაჭრეებისაგან სახელგადებრივად სასარგებლო საქმეს და, რაც უფრო საკვირველია, ვინ დაიწესა ასეთი გაუგონარი ფასი?!

ვიმედოვნებთ, რომ ამის შემდეგ მაინც არ მოიკლებენ სათანადო ორგანიზაციები ყურადღებას და მზრუნველობას „ვახუშტის წყაროს".

კ. ლიფშონავა,
კ. ხარაძე.
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატები.

ნარწერები ქანგმა შეჭამა

საქართველოს თითქმის არც ერთ კუთხეში არ. ერსა ისეთი სოფელი, დაბა თუ ქალაქი, სადაც რამე ... ისტორიულ-მატერიალური ძეგლი — ციხე, კოშკი, გალავანი ან სასულიერო დანიშნულების ნაგებობა არ იყოს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ ყველა მნიშვნელოვან ძეგლს სახელმწიფო იცავს და მათი დამზიანებელი კანონის ძალით ისჯება. ამ ისტორიული ძეგლების ეიდლებზე თვალსაჩინო ადგილას თავის დროზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არქიტექტურული ძეგლების საქმეთა სამმართველომ გაკრა თუნდაც ფურცელი, რომლებზეც ქართული და რუსული ენებზე აღნიშნული იყო ამა თუ იმ ძეგლის სახელწოდება, აშენების ზუსტი ან სავარაუდო თარიღი და გაფრთხილება ძეგლის ხელუხლებლობის გამო.

ბევრგან ბოლები, თუნდაც აბრების ადგილი მოედო და წარწერები წაიშალა. ბევრგან გამადიდებელი მინითაც კი ჭირს მთლიანი ტექსტის ამოკითხვა. ასეთი მდგომარეობაშია, მაგალითად, ცხინვალის 1718 წლის ძეგლი „ღვთისმშობლის" გუმბათიანი ეკლესია, გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი: ვახტანგ გორგასლის აგებული ღვთაების ტაძარი, X საუკუნის მთავარანგელოზის ეკლესია, საეპისკოპოსო პალატა და სამრეკლო (ამათ წარწერიანი თუნდაც ფურცლები ცალკ-ცალკე აქვთ მიკრული), ქასპის რაიონის იგოეთის წმინდა საყდარი (საავტომობილო გზის გვერდით) და სხვა.

ალბათ, დროა შეიცვალოს ეს დაჟანგებული თუნდაც აბრები.

ვ. ცოტნიაშვილი.

ჯილდო გადაეცათ

სახელმწიფო ბანკის ყაზბეგის განყოფილებას სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა ოლექტივების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით მიენიჭა სსრ კავშირის სახბანკისა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სახბანკის განყოფილებამ საქართველოს ნაგების შეშოსავლის ნაწილი შეასრულა 105,3 პროცენტით. უზრუნველყოფილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საგადამხდელო და სააღრიცხვო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, გაუმჯობესდა კლიენტურის მომსახურება.

„ოლექტივს სიზეიმო ვიზარეგობაში გადასცა ჯილდო სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ვ. პატეიშვილმა.

(საქინფორმი).

მსჯელობენ ჟურნალისტები

აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). გაიმართა აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი. მოხსენებით „აფხაზეთის სსრ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შესახებ" გამოვიდა აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „აფსნი ყაფშის" რედაქტორი ს. კვიწინია.

პლენუმმა დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეიწყობს აფხაზეთის ჟურნალისტთა წინაშე დასახული სადღეისო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ჯილდო გადაეცათ

სახელმწიფო ბანკის ყაზბეგის განყოფილებას სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა ოლექტივების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით მიენიჭა სსრ კავშირის სახბანკისა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სახბანკის განყოფილებამ საქართველოს ნაგების შეშოსავლის ნაწილი შეასრულა 105,3 პროცენტით. უზრუნველყოფილია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საგადამხდელო და სააღრიცხვო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, გაუმჯობესდა კლიენტურის მომსახურება.

„ოლექტივს სიზეიმო ვიზარეგობაში გადასცა ჯილდო სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ვ. პატეიშვილმა.

(საქინფორმი).

ძმური თანამშრომლობა

საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ფართოდ აშუქებენ და განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს / თავმჯდომარის მოადგილის ვ. იაგელსკის მიღებას. ხაზგასმით აღნიშნავენ გულითად, მეგობრულ ვითარებას, რომელშიც საუბარი მიმდინარეობდა.

პოლონეთის გაზეთები ცნობას კრემლში გამართული მიღების შესახებ აქვეყნებენ პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით. ხაზს უსვამენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკების ყოველმხრივი ურთიერთობის შემდგომ განმტკიცება-განვითარებას. ახლანდელ პირობებში, წერს „ტრიბუნა ლუდუ", განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ყოველნაირად ავამაღლოთ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტიანობა ორგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

მოსკოვში ვიზიტის წინ მ. იაგელსკიმ ვარშავაში განაცხადა: საბჭოთა კავშირი ფაშისტი დამპყრობლებისაგან პოლონეთის გათავისუფლების პირველი დღეებიდანვე ძმურ დახმარებას უწევს პოლონელ ხალხს, საბჭოთა კავშირი იყო, არის და იქნება ჩვენი პირველი პარტნიორი საგარეო ვაჭრობაში და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ძმური თანამშრომლობის განვითარება ეყრდნობა მყარ საფუძვლებს, რომელთა წყაროა იდეური ერთიანობა, საერთო პოლიტიკური მიზნები და სახელმწიფო წყობილების ერთობა, იგი ეყრდნობა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ამ თანამშრომლობის მნიშვნელობა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ძნელ ჟამს, როცა პოლონეთს უხდება განსაკუთრებით რთული ამოცანების გადაწყვეტა. დახმარებას ყოველთვის გვიწევენ სსრ კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები. ოღონდ მადლობას ვუხდით ჩვენს მეგობრებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში, რომლებიც ხელს გვიმართავენ რთული ამოცანების გადაწყვეტაში.

ცნობა ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მ. იაგელსკის მიღების შესახებ თვალსაჩინო ადგილებზე გამოაქვეყნეს მოძმე სოციალისტური ქვეყნების გაზეთებმა.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

13 სექტემბერი

● **რომი.** იტალიის ქალაქ პავიას ფოლადსადნობი ქარხნის „ნეკეს" ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ შემცირებულ კვირაზე გადაყავს 750 მუშა და შესაბამისად უმცირებს ხელფასს.

● **ბოგოტა.** კოლუმბიის სანავსადგურო ქალაქ ბარანკილიაში, რომელიც ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს, ტიფის ცხელმიამ იფეთქა. უკანასკნელ დღეებში ქალაქის ხელისუფალთა მონაცემების თანახმად, კოლუმბიის ამ დიდ სამრეწველო ცენტრში აღრიცხულია ტიფით დაავადების 80-ზე მეტი შემთხვევა.

● **ლუანდა.** ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში შეიქმნა ანგოლელ ეროვნულიზტთა კავშირი. ამას იტყობინება აქ მპლა-ბრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. პაკავირა.

ვითარება თურქეთში

ანკარა, 13 სექტემბერი. განვლილ დღე-ღამეში ანკარაში შედარებით წყნარი ვითარება იყო. გუშინ ნაშუადღევს ამუშავდა სასურსათო მაღაზიები, ფუნქციონირებენ საავადმყოფოები. საქალაქო და რაიონული ტრანსპორტი, გამოვიდა ცენტრალური გაზეთები, ქვეყნის ყველა საზღვაო და საჰაერო პორტი გაიღო სშინაო და საერთაშორისო რეისებისათვის. ამასთან ერთად ზოგიერთი ფაქტი მოწმობს, რომ ქვეყანამ ეს-ეს არის განიცადა სამხედრო გადატრიალება. დედაქალაქის ქუჩებს პატრულობენ ჯანდარმერიის გაძლიერებული რაზმები და ჯარის ქვეგანაყოფები. ანკარის მოედნებსა და გზაჯვარედინებზე ტანკები და ჯავშნოსნები დგანან. საგანგებო წესების შესახებ სარდლობის ბრძანების თანახმად დედაქალაქში, სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში შემოღებულია კომენდანტის საათი. იგი მოქმედებს 20.00 საათიდან დილის 6 საათამდე.

ეროვნული უშიშროების საბჭომ თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ქენან ევრენის მეთაურობით, რომელმაც ხელთ აიღო მთელი ძალაუფლება ქვეყანაში, მოსახლეობას მოუწოდა დაიცვას სიმშვიდე და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სამხედრო ხელისუფალთ.

ჩინეთი: მტრული გეზი უცვლელია

პეკინი გაიმართა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მე-3 სესია, რომელმაც ერთგვარად შეაჯამა სერიოზული საშინაო პროცესების ზოგიერთი შედეგები, რომლებიც ჩინეთში შეინიშნებოდა ბოლო ხანს. სესიაზე როგორც აშკარად, ისე შენიღბულად გაკრიტიკეს ზოგიერთი მაოისტური კონცეფცია და თეორია, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ სოციალიზმთან.

კერძოდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ხუა გრაფენმა (რომელიც აქეე უნდა ითქვას, სესიაზე გაათავისუფლეს ამ თანამდებობიდან), თავის „გამოსვლაში თუმც კი დაიმოწმა „მაო ძედუნის იდეები", მაინც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მათი აქტიური განხორციელების პერიოდში ჩინეთის ეკონომიკა კატასტროფის ზღვარზე აღმოჩნდა.

სესიის მუშაობის დროს აღიარეს, რომ ქვეყნის ეკონომიკაში არსებული სიძნელენი უფრო სერიოზულია, ვიდრე ვარაუდობდნენ. 1981 წლის გეგმების მონახაზებში გათვალისწინებულია მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციის — ქვანახშირის, ფოლადის, ნავთობის, ტრაქტორების, ავტომობილების წარმოების გაყინვა და შემცირებაც კი.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ, ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობისათვის მაოისტური კონცეფციების მავნეობის აღიარებისა და ჰეკინის ხელმძღვანელობაში მომხდარი გადანაცვლების მიუხედავად, ჩინეთი საგარეო პოლიტიკაში კვლავ ადგას საბჭოთა კავშირის, ვიეტნამის, მონღოლეთის, სხვა სოციალისტური ქვეყნებისა და საერთოდ მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საქმისადმი მტრულ კურსს.

ჩინეთის ჰეგემონისტური პრეტენზიები თავის მეზობლებისადმი და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ხელშეწყობით მისი გაძლიერებული მილიტარიზაცია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.

ცხოვრება სულ უფრო უმჯობესდება

კამპუჩიელები წარმატებით აშენებენ ახალ ცხოვრებას. ახლა მათი მთავარი ამოცანაა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება. უკვე ბევრი სამრეწველო საწარმო ჩადგა მწყობრში და მრავალფეროვან პროდუქციას უშვებს. სოფლის მეურნეობის მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ მნიშვნელოვნად გაზარდონ ბრინჯის წარმოება. თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული განათლების დარგშიც.

სურათებზე: შესვენება კამპუჩიის ერთ-ერთ სკოლაში (მარცხნივ); ბრინჯის ნათესები კამპოტის პროვინციაში.

საპრესის ფოტოქრონიკა.

ნიუ-იორკი. კამპუჩიის მთავრობა ჰენგ სამრინის მეთაურობით თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში აქცევს ქვეყნის ცხოვრებას და მზარდი ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში, რომელიც შეძრწუნებით იხსენებს პოლ-პოტის სისხლიანი რეჟიმის მმართველობის ხანას. ამგვარი აღიარება სულ უფრო ხშირად იბეჭდება დასავლეთის იმ გამოცემათა ფურცლებზეც კი, რომლებსაც ვერ დასწამებთ სიმპათიას სახალხო-რევოლუციური ხელისუფლებისადმი.

„კამპუჩიაში ყველგან შეგიძლიათ გაიგონოთ ერთსულოვანი აზრი — ცხოვრება სულ უფრო უმჯობესდებაო", — წერს ამერიკის ჟურნალ „ნიუსუიკის" კორესპონდენტი, რომელიც ამას წინათ იყო კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკაში. ახალმა ხელისუფლებამ, აღნიშნავს იგი, ადამიანებს შეუქმნეს შრომის სტიმული და გამოაცოცხლეს ეკონომიკა. კვლავ ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობა. დიდი მუშაობაა გაწეული იმისათვის, რომ მოსახლეობა უზრუნველყონ სურსათით.

მაგრამ ახლა უმთავრესი ის არის, რომ კამპუჩიელები, ბოლოს და ბოლოს, გრძნობენ, რომ მათი მდგომარეობა სულ უფრო უმჯობესდება. „ყველა მათგანისათვის, — აღნიშნავს ჟურნალი, — ყველაზე საშინელი რამ პოლ პოტისა და მისი რეჟიმის დაბრუნება იქნებოდა. ბევრი ძრწოლით იგონებს პოლპოტელი ჯალათების ტერორს, რომლებიც ასიათასობით კამპუჩიელს მკვლელი, მათ შორის პოლპოტის საადუმლო პოლიციის უფროსი კან კეჩ იუ, აქამდე იმყოფება ტაილანდის ტერიტორიიდან კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონებში მოქმედი ბანდების შემადგენლობაში. ამ ჩინური წარმოშობის სადისტისა და ჯალათის სინდისზეა, ხაზს უსვამს ჟურნალი, ერთი მილიონი კამპუჩიელის სიცოცხლე. პოლპოტელების მიერ პნომპენიდან გაქცევის დროს მიტოვებული დოკუმენტები მოწმობენ, რომ კან კეჩ იუ პირადად იძლეოდა ბრძანებებს „პოლიტიკური პატიმრების" სიკვდილით დასჯის შესახებ, მათ შორის კი 9 წლის ბავშვებიც იყვნენ.

სწორედ კან კეჩ იუს ინიციატივით გადაიქცა პნომპენის ერთ-ერთი სკოლა მთელი მსოფლიოსათვის საკალოდ ცნობილ ტოულსლენგის საპყრობილედ, რომელიც ტანჯვა-წამების მთავარი ადგილი გახდა პოლ პოტის დროს.

„დასავლეთმა, და განსაკუთრებით შეერთებულმა შტატებმა, — წერს ჟურნალი, — არ უნდა უგულებელყოს ის ღრმა შეშფოთება, რომელსაც კამპუჩიელებს აღუძრავს კამპუჩიის სასაზღვრო რაიონებში მყოფი ჩინეთის მიერ ზურგგამაგრებული პოლპოტელების მოქმედება.

„კომუნისტის" კომენტარი

თავისუფლება ნამიბიას!

11 და 12 სექტემბერს პარიზში, იუნესკოს შტაბ-ბინაში ჩატარდა ნამიბიელ ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც მხარი დაუჭირეს გაერთიანებული ერებისა და აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციებმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭომ, მრავალი ქვეყნის საზოგადოებრიობამ.

კონფერენციის გახსნის წინადღით სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის (სვაპო) პრეზიდენტმა სემ ნუიომამ განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის აგრესორები ვერასდროს ვერ დაამარცხებენ ნამიბიელებს, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ცოცხალია თუნდაც ერთი პატრიოტი.

პარიზის კონფერენციამ ცხადყო, რომ თავისუფლებისმოყვარე ნამიბიელი ხალხის ძლიერების საფუძველს წარმოადგენს საკუთარი ძალების შემდგომი კონსოლიდაცია და მსოფლიოს სხვა ერების ერთსულოვანი მხარდაჭერა.

ამჟამად ნამიბიაში დაიწყო ბრძოლის ახალი ეტაპი, როდესაც, გაზეთ „მორნინგ სტარის" თქმით, ანტირასისტული მოძრაობის ნაკადული ოკუპანტებისათვის ნამდვილ წარღვნად იქცა. რასაც, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ზამბიაბეს ხალხის საბოლოო გამარჯვებამ, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის მთავრობის მიერ ჩატარებულმა ფალსიფიცირებულმა არჩევნებმა. ახლა დამპყრობლები ამით იმართლებენ თავს, თითქოს სვაპო არ სარგებლობს მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით და მისი ბაზები ნამიბიის ფარგლებს გარეთაა, ძირითადად ანგოლაშია. პრეტორიის მიერ დანიშნულმა ნამიბიის გენერალურმა ადმინისტრატორმა ი. ვილჯოენმა განაცხადა, რომ თავისუფალი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში სვაპო ჭმობრჩევლთა 40 პროცენტზე მეტ ხმას ვერ მიიღებდაო. საგულისხმო აღიარებაა! საკითხავია მხოლოდ რატომ არ უნდა იყოს ხელისუფლებაში გათვალისწინებული მოსახლეობის 40 პროცენტის ნებასურვილი? მეტიც: როგორც ზიმბაბვეს მაგალითმა დაგვანახა, ასეთი გაანგარიშებანი საფუძველს მოკლებულია, რადგანაც მოსახლეობა ყოველთვის უჭერს მხარს მათ, ვინც იარაღით ხელში, თავდადებულად იბრძვის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

აქედან გამომდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1973 წელს ოფიციალურად აღიარა სვაპო ნამიბიელი ხალხის წარმომადგენელად.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ნამიბია, მიუხედავად მხეცური მეთოდებისა, რომელთაც იყენებს სამხრეთ აფრიკის არმია, გაიმარჯვებს. რასისტების სისასტიკე აიხსნება მოახლოებული მარცხით, ზოლო დასავლეთის სახელმწიფოების მიერ მათდამი გაწეული დახმარება პირველ რიგში ეკონომიკური პოზიციების დაკარგვის საშიშროებით.

ავიღოთ მაგალითად ინგლისის პოზიცია. ბრიტანეთში შემოტანილი ურანის მესამედი რიო ტინტო ზინკიდან (ნამიბია) მოდის. მართალია, 1974 წელს ლეგორისტულმა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი აღარ აპირებს ნამიბიასთან ვაჭრობის გაგრძელებას. მაგრამ აქვე დასძინა, რომ „უკვე ხელმოწერილი კონტრაქტები (ურანის მადნის შესყიდვის შესახებ) შესრულდება. ხოლო სამხრეთ აფრიკის ბატონობა ნამიბიაში აღიარებული იქნება რომორც „ხელისუფლება დე ფაქტო".

კონსერვატორთა ახლანდელი მთავრობაც იმავე გზით მიდის: „ბრიტანეთის მთავრობის საერთო პოლიტიკა სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიასთან ვაჭრობაში... მდგომარეობს იმაში, რომ არ ჩაერიოს ნორმალურ კომერციულ კონტაქტებში".

მოკლედ რომ მოვჭრათ, საქმე გვაქვს ჩვეულებრივ ნეოკოლონიალისტურ პოლიტიკასთან: „ისე წავიდეთ, რომ დავრჩეთ".

ედ. მენაბდე,
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

მათრახები ბავშვებისათვის

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიციის საზზგადებრიობასთან კავშირის სამმართველოს (თურმე ასეთი რამეც არსებობს) მეთაურმა ია გრობელარმა განაცხადა: ოთხ სპოლიციო ოლქს გამოსაცდელად ეგზავნება მათრახები, რომლებიც სპეციალურად დათვალისწინებულია მოზარდთა დემონსტრაციებინ გასარეკად, რათა... „რაც შეიძლება ნაკლები ძალა იქნას გამოყენებული ბავშვების მიმართ". თუმცა „მოთვინიერების" ძველი საშუალებები — ხელკეტები და ცრემლსადენი გაზები კვლავ ძალაში რჩება.

ჰეროინის ვაჭარი დიპლომატი

ასოშიეიტედ პრესის ცნობით, ჰოლანდიის ლეიდაქალაქის ჰაგის ერთ-ერთი ჟურნალ კუთხეში დანაშაულზე წაასწრეს ნარკოტიკების ვაჭარს, რომელსაც უკვე ხუთი კილოგრამი ჰეროინი გაესაღებინა. მყიდველი უმალ დააპატიმრეს. გამყიდველი კი მხოლოდ მიაცილეს ძირითადი სამსახურის ადგილს. საქმე ის გახლავთ, რომ იგი პაკისტანის საელჩოს მეორე მდივანი აღმოჩნდა. დიპლომატი სამშობლოში გაიწვიეს.

შური იძია?

შეუძლიათ თუ არა გველებს შურისძიება? სამხრეთ ტანზანიის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებს ალი მოჰამედ მდგებეს მეზობლებს ამაში ექვიც არ ეპარებათ. შარშან ალიმ თავის ქოხთან მოკლა სამი გველი, რომლებიც მის ქათმებსა და ძაღლებზე ნადირობდნენ. მალე უზარმაზარი გველი დაესხა თავს ალის ვაჟსა და ქალიშვილს, როცა ისინი სკოლაში მიდიოდნენ. იგი შემოეხვია შვიდი წლის ხალიმს და დაუწყო მოგუდვა. ძმამ მშველელს მოუხმო. საბედნიეროდ გოგონა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა მშობლები მიცვივდნენ და გველი აჩეხეს.

ზოგი რამ სხვათა შორის

ინდონეზიელ მეცნიერთა აზრით

ინდონეზიის კუნძულები ოდესღაც წარმოადგენდა ძველი კონტინენტის ნაწილს, სადაც შეიძიოდა ახლანდელი ადამიანიც. ეს დასკვნა, ფიქრობენ ინდონეზიელი მეცნიერები, მტკიცდება, კერძოდ, უკანასკნელი პალეონთოლოგიური აღმოჩენებით. სუმბას, ფლორესა და ტიმორის კუნძულებზე, რომლებიც მდებარეობს შორს ღია ზღვაში, გათხრების დროს აღმოჩინეს სპილოების ჩონჩხები. სპეციალისტების აზრით, ახლანდელი კუნძულების ტერიტორიაზე ამ გიგანტური ცხოველების არსებობა სხვანაირად არ შეიძლება იხსნას, თუ არა იმით, რომ დასახლებები 100 ათასი წლის წინათ არსებობდა პროტოკონტინენტი.

პოეზია მეგობრობას უმღერის

აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი გოლობილად შეიგება ახალგაზრდა ქართველ პოეტებს, რომლებიც აქ თბილისიდან ჩამოვიდნენ ახალგაზრდული პოეზიის საღამოში მონაწილეობის მისაღებად.

დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი.

პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტში გაიმართა მიღება, რომელზეც საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ქეცბაიამ ახალგაზრდა პოეტებს ესაუბრა იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს დგას აფხაზეთის დედაქალაქის მშრომელთა წინაშე.

— ჩვენ მეგობრობით ვიყავით და ვართ ძლიერნი—თქვა რ. ქეცბაიამ, — ამ მეგობრობის კიდევ ერთი ნამბავ ფურცელია ახლანდელი შეხვედრა.

საპასუხო სიტყვაში პოეტმა ჯ. სულხან ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ ქართველი და აფხაზი ხალხების შეგობრობას უძველესი ტრადიციები აქვს.

— ჩვენ უნდა გავაკეთოთ იმ გზას, რომელსაც საფუძველი ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ილია ჭავჭავაძემ და დიმიტრი გულიამ ჩაუყარეს.

მართლაც საოცარი ზეიმი იყო შარშან რუხში, ზუგდიდის რაიონში.

წელს იქ მეგობრობის ზეიმი მეორედ უნდა ჩატარდეს და მოგალში ტრადიციად იქცეს. ჩვენც მხარი უნდა ავუბათ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ამ თაოსნობას, — ამბობს ჯ. ჩარკვიანი.

შემდეგ კი ს. ჭანბას სახელობის აფხაზურ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ახალგაზრდული პოეზიის საღამო, რომელშიც ჰონაწილეობდნენ ქართველი და აფხაზი პოეტები.

პოეტი დ. ჩაჩხალია კითხულობს აფხაზეთის სახალხო პოეტის ბ. შინკუბას ლექსს, მსახიობი ლ. ლოგუა — გიორგი ლეონიძის „აფხაზიას“, ყიღრს აფხაზური ხალხური სიმღერის ჰანგები ანსამბლ „ფაზისის“ შესრულებით.

საღამოზე გამოვიდნენ აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მ. ლასურია და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ჯ. ჩარკვიანი. მათ ილაპარაკეს ქართველთა და აფხაზთა ძირძველ მეგობრობაზე.

შემდეგ კი სცენა ახალგაზრდა პოეტებმა დაეთმოთ. გამოდიან, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი დ. ივარდავა, რ. ლასურია, ე. ნიკორაძე, დ. ჩაჩხალია, რ. სმირი, დ. ბეღდანიძე, ტ. ქალანდია, ე. ძიბა, ვ. ხარჩილავა, ლ. ჭითანავა, ვ. კოღონია, გ. ოდიმარია, ი. ხაშბა და სხვები.

ი. ბოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

იტალია მოიხიგლა

12 სექტემბერს თბილისში დაბრუნდა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, რომელიც იტალიაში, კომუნისტური პარტიის გაზეთ „უნიტას“ ტრადიციულ ფესტივალში მონაწილეობდა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. **გურაბანიძემ** „კომუნისტის“ კორესპონდენტს უამბო:

— „უნიტას“ ფესტივალი ფართო საერთაშორისო ხასიათისაა. ეს არის იტალიის მუშათა კლასის სახალხო დღესასწაული და ძირითადი ცენტრი ამ ფესტივალისა ქალაქი ბოლონიაა, სადაც იბეჭდება გაზეთი „უნიტა“.

ამ ფესტივალის პროგრამის ერთი ნაწილი ხელოვნების ფესტივალიც არის, სადაც ხელოვნების სხვადასხვა ჟანრია წარმოდგენილი. უპირატესად კი — საესტრადო-საცირკო ხელოვნება. დრამატულ თეატრალურ ხელოვნებას ამჟამად მხოლოდ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი წარმოადგენდა.

ინსტიტუტი (დირექტორი — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. დანელია, დირექტორის მოადგილე სამედიცინო ნაწილში — ნ. იაშვილი) მთელი წლის მანძილზე დაახლოებით 1000 ავადმყოფს იღებს, რომლებსაც სისხლძარღვთა პათოლოგია, ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია, მიოკარდის ინფარქტი (ადრეული სტადია) და ქრონიკული ფილტვების ანთება აწუხებთ.

მაღლობზე მდებარე ეს ჯანმრთელობის კერა გამოირჩევა სამთო-საზღვარ კლიმატით, რომელიც ავადმყოფებს კურნავს უმედიკამენტოდ, ან ფარმაკოლოგიურ საშუალებათა შეზღუდული გამოყენებით.

სამეცნიერო-მეთოდიკურ ცენტრს აქვს სამკურნალო კაბინეტების მთელი კომპლექსი, კლინიკური ლაბორატორიები, საბანაონები, სამკურნალო ფიზიკულ-ტურული დარბაზი, სამ-ოთხ კაცზე გაანგარიშებული ნათელი პალატები და დასასვენებელი დარბაზი, ვრცელი სასადილო, რომელსაც აქვს გასასეირნელი ინდივიდუალური კვების განყოფილება და დღის რეჟიმის განაწესი.

ყოველივე ეს ქმნის გარკვეულ პირობებს ავადმყოფთა თავისებური შესწავლისთვის.

თერაპიულ განყოფილებას ხელმძღვანელობს პროფესორი ნ. ზგელაძე, რომელიც ფილიალის მეცნიერ-თანამშრომლებთან ერთად მეთოდიკურ-პროფილაქტიკურ საქმიანობას ეწევა კლინიკური ავადმყოფების გამოსაკვლევლად.

კონიამეილის სახელობის ინსტიტუტი მიოკარდის ინფარქტგადატანილ ავადმყოფთა კლინიკურ-ბალნეოლოგიური მკურნალობის პიონერია. თავიდან ასეთ ავადმყოფებს სწავლობდნენ ინფარქტის გადატანიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ, ამჟამად კი ავადმყოფები ინსტიტუტში ხვდებიან 3-4 თვის შემდეგ.

ავადმყოფთა 95 პროცენტმა, რომლებმაც მიოკარდის ინფარქტი გადიტანეს პირველად და გამეორებით (ვ. ქსოვრელი, შ. ბურდილაძე, დ. შანიძე, ლ. ჯანაშია და ბევრი სხვა), კლინიკურ პირობებში შესამჩნევი გაუმჯობესება და სრული გამოჯანსაღების დიდი რწმენა იგრძნო.

ინსტიტუტის ახალგაზრდა სპეციალისტები დ. ეკისაძე და ს. ბლანო�ა ამზადებენ საკანდიდატო დისერტაციის მნიშვნელოვან თემაზე.

1961 წლიდან ინსტიტუტი სწავლობს ფილტვების პროფესიულ დაავადებებს (პნევმოკონიოზი), ქრონიკულ ბრონქიტებს და დასაქმებულია საკურორტო პირობებში ქრონიკული ფილტვების ანთებათა მკურნალობით. აქვე სწავლობენ აგრეთვე ისეთ ნეიროულ დაავადებებს, როგორიც არის დიენცეფალური პათოლოგია, ქრონიკული რადიკულიტები, ნევრასტენია. ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ბ. შინკუბა ამზადებს დისერტაციას „თავის ტვინის ტრავმის შემდეგ დაავადებათა საკურორტო მკურნალობა“.

კლინიკურის გარდა ფილიალში არის ექსპერიმენტული კურორტოლოგიის განყოფილება, რომელსაც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თ. ყიფიანი ხელმძღვანელობს. ამ ლაბორატორიაში სწავლობენ ორგანიზმზე სხვადასხვა საკურორტო ფაქტორის მოქმედებას.

უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ეთმობა ინფორმაციული ნეიროზებისა და მათი მკურნალობის ნეირომორფოლოგიური მეთოდების საკითხებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავადმყოფთა მკურნალობას მთის და ზღვისპირეთის პირობებში (კურორტი ავადახარა, რომელიც 1932 წელს გაიხსნა პროფესორ ა. გრიგოლიას ინიციატივით).

საკურორტო რესურსების ძებნის განყოფილებას ხელმძღვანელობს უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ბ. ჯანაშია, რომელიც რესპუბლიკის საკურორტო სამდივნოს ინიციატივით).

საკურორტო რესურსების ძებნის განყოფილებას ხელმძღვანელობს უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ბ. ჯანაშია, რომელიც რესპუბლიკის საკურორტო სამდივნოს მეცნიერ-მდივანია.

ინსტიტუტი ფართოდ ეწევა ინფორმაციულ-ანალიზურ მუშაობას. ბიბლიოთეკა ინსტიტუტისა ... ინფორმაციულ-ანალიზურ ... ...